



შირაკი

SHIRAKI

www.open.ge

გამოქვეყნდა 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№46 (9.611)

30 ნოემბერი-7 დეკემბერი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„ჯარის წყლის“ ახალი სისტემა



ქალაქ დედოფლისწყაროში მდებარე „ჯარის წყლის“ წლობით მოუნესრიგებელი ტერიტორია ცივილურ იერს იძენს. ყველას ახსოვს, რომ ამ მშენებელი წყაროს მიმდებარე ტერიტორია ნაგვის ბუდედ იყო ქცეული და მისი დასუფთავება აქილევსის ქუსლს წარმოადგენდა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის სოლომონ ღორაშვილის ინფორმაციით, დასუფთავდა და კეთილმოეწყო აღნიშნული ტერიტორია, მოეწყო ახალი საკანალიზაციო სისტემა და წყაროც მესერთან ერთად ახალ იერს შეიძენს. სამუშაოებს შპს „კალციტი“ აწარმოებს და მათი დასრულება 10 დეკემბრისთვისაა დაგეგმილი.

როგორი სპორტსმენი იყო ირაკლი ღარიბაშვილი

„წესრიგის დამცველი, პირველ რიგში, თვითონ უნდა იყოს მოწესრიგებული. რაც უფრო მეტი ჩინი აქვს მას, მით მეტად მოწესრიგებული უნდა იყოს და ამის ვალდებულება გააჩნდეს. ასეთია ირაკლი ღარიბაშვილი. მინდა მას მადლობა გადავუხადო, რამეთუ, ამ მოკლე დროში მან დაამტკიცა, რომ შეუძლია რთული სტრუქტურის ღირსეულად მართვა. ძალიან წესიერი კაცია, საკმაოდ მოწესრიგებული და საიმედო. ამავდროულად სხვათაშორის ის კოკბოქსისტი გახლდათ, სპორტსმენია და ხელჩართულ ჩხუბში თუ დასჭირდა, არც იქ დაიხეხს უკან და იქაც წამოგეშვებოთ“, - ბიძინა ივანიშვილიამ ამ სიტყვებით სამართალდამცველებს წელს პოლიციის დღესთან დაკავშირებით გამართულ ალღუმზე სიტყვით გამოსვლისას მიმართა. ღარიბაშვილის სპორტსმენობის ამბავი ფართო საზოგადოებამ სწორედ ივანიშვილისგან შეიტყო.

ახლა კი, უკვე პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის სპორტულ შესაძლებლობებსა და

კიკბოქსინგში პირველ ნაბიჯებზე, მისი ყოფილი მწვრთნელი თამაზ ყარაგვეზაშვილი საუბრობს. ყარაგვეზაშვილი დეტალურად იხსენებს პრემიერის მასთან ვარჯიშის წლებს.

თამაზ ყარაგვეზაშვილი:
„გამიხარდა, როდესაც ტელევიზიით პრემიერმა გაავრცელა ინფორმაცია ირაკლი ღარიბაშვილზე, ყველას გაუკვირდა, როგორ შეიძლება მინისტრი იყოს ორთაბძოლებით დაკავებული. გაჭირვების წლები იყო, 1997-1998 წლები, როდესაც ირაკლი თავის მეგობრებთან ერთად ჭაბუკთა გუნდში მოვიდა. იყო სპორტული აღნაგობის. თავიდანვე გამოირჩეოდა კარგი სპორტული მონაცემებით, მალევე შეძლო იმ ვარჯიშების შესრულება, რაც ჩვენ გვაქვს“, - აღნიშნა მწვრთნელმა.

მისი თქმით, ღარიბაშვილი თავისი შრომისმოყვარეობით მალევე დაენია იმ სპორტსმენებს, რომლებიც უფრო მეტი ხნის განმავლობაში ვარჯიშობდნენ. როგორც ყარაგვეზაშვილი აღნიშნავს, ღარიბაშვილი სწრაფი და მოქნილი იყო, ის

ვარჯიშის შემდეგაც რჩებოდა და დამატებით ვარჯიშობდა. ყარაგვეზაშვილის თქმით, ღარიბაშვილი სპორტს თავი მშობლების გადამწყვეტილებით დაანება. მისივე თქმით, ღარიბაშვილი სპორტში რომ დარჩენილიყო, იქაც პირველი იქნებოდა.

„ბოლოს ირაკლი ღარიბაშვილი მშობლების გადამწყვეტილებით სპორტს თავი იმ მიზეზით დაანება, რომ სწავლაში ხელი არ შეშლოდა. კიდევ კარგი, არ დავიტოვე, თუმცა რომ მომენდომებინა და დამეტოვებინა, სპორტშიც პირველი იქნებოდა. მას დიდი მომავალი ჰქონდა“, - აცხადებს ყარაგვეზაშვილი.

როგორ დაიწყო ირაკლი ღარიბაშვილი კიკბოქსინგში ვარჯიში?
- ირაკლი სავარჯიშოდ მეგობრებთან ერთად მოვიდა. იმ დროს რაიონში სპორტის ეს სახეობა უკვე საკმაოდ პოპულარული იყო ახალგაზრდებში. ხშირად ვატარებდით შეჯიბრებებს და ბავშვებს მოსწონდათ ორთაბძოლებით თავის გამოჩენა, ვინაიდან რინგ-

ზე დგომა უკვე მამაცობად ითვლებოდა, ამიტომ მიმდევარიც ბევრი გვყავდა, შესაბამისად, ირაკლიც და მისი მეგობრებიც მოხიბლული იყვნენ კიკბოქსინგით.

- საწყის ეტაპზე როგორი სპორტული მონაცემები ჰქონდა?
- ირაკლი კარგი აღნაგობის იყო, ათლეტური და მოქნილი სხეულით. გამოირჩეოდა სისწრაფით და მარჯვე მოძრაობებით, განსაკუთრებით უყვარდა მოქნილობაზე ვარჯიში და ეგრეთ ნოდებულ „შაგატის“ ყველა ვარიანტით აკეთებდა. ამ მოძრაობებს ბევრი მსოფლიო დონის სპორტსმენიც ვერ ასრულებს. პირველ რიგში, რასაც ხაზს გაუსვამ, ესაა მისი თავდაუზოგავი შრომისმოყვარეობა. ამიტომაც იმ ბიჭებს, ვისთან ერთადაც გუნდში მოვიდა, მალევე გაასწრო ვარჯიშების შესრულების ხარისხითაც და იმ ნორმატივების მაღალი ქულებით ჩაბარებითაც, რასაც ითვალისწინებდა იმ დროისთვის ჭაბუკთა გუნდის მოთხოვნილება.

ასევე აღვნიშნავ მის ნებისყოფას. ირაკლის შეეძლო დასამუშავებლად მიცემული კომბინაციური ილეთები ყურადღების გადატანის გარეშე, ხანგრძლივად დაემუშავებინა და დაეხვნა. ასეთი ყურადღების კონცენტრაცია იშვიათებს ახასიათებთ.

უამრავი მომენტის გახსენება შეიძლება. მასსოვს, როდესაც გუნდისთვის თეორიულად ერთ ერთი საბრძოლო კომბინაცია განვმარტე, ბავშვებმა ჩურჩული დაიწყეს: ილეთის კარგად შესრულება რთული იქნება, ალბათ არ გამოგვივაო... ირაკლიმ მთხოვა, ვარჯიშის შემდეგ დავრჩები და იქნებ დეტალებში ამიხსნათო. მართლაც გვიანობამდე ვისაუბრეთ და ყველაფერში გაერკვა. გავიდა რამოდენიმე დღე და როდესაც ვიბარებდი ბავშვებისგან სავარჯიშო პროგრამას, ირაკლიმ ისეთი სიზუსტით და სისწრაფით შეასრულა რთული კომბინაციები რომ ჩემთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა არათუ სპორტსმენთათვის.

(გაგრძელება გვ.3)

ერთი დღე მუშაინარების სამყაროში

გვ. 6

რა გვ. 3

უპირატესობებით ისარგებლებან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები

ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი

გვ. 4-5

ყველაზე სადღო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლანების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- საბარტლებრივი აქტუა
- აუქსიონი
- ტენდერი - ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ ნაიპოთხავთ!

www.dedoplistskaro.ge

გიორგი მარგველაშვილი - საქართველო პოლიტიკური სიმწიფის პროცესში იმყოფება

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა ვილინიუსში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტში“ მონაწილე დელეგაციების ხელმძღვანელებს სამუშაო სადილზე სიტყვით მიმართა.

„ჩემთვის, როგორც საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტისთვის, დიდი პატივია ამ ისტორიულ მომენტში თქვენს გვერდით ყოფნა. საქართველო მადლობას უხდის ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერისთვის მთელი ამ წლების განმავლობაში.

ჩვენ, ქართველებმა ვიცით, რომ ვართ ევროპელები, მაგრამ ისტორიული და გეოპოლიტიკური მიზეზების გამო, არ მოგვეცა საშუალება, მონაწილეობა მიგველო ევროპული ინტეგრაციის სანაყის ეტაპზე“,- აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა და თითქმის ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტია მხარს უჭერს ევროპულ ინტეგრაციას, როგორც ჩვენი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს.

„ჩვენ მოვხდინეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პარაფირება.

ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულებები ყველაზე მეტად ეფუძნება სწორედ საერთო ფასეულობებს:

- კანონის უზენაესობა;
- ადამიანის უფლებების დაცვა;
- პასუხისმგებლობის მქონე და გულისხმიერი მთავრობა;
- მდგრადი, საბაზრო მოთხოვნებზე დაფუძნებული ეკონომიკა, რომელიც ორიენტირებულია სოციალურად ყველაზე მეტად ეფუძნება სწორედ საერთო ფასეულობების დაცვას.

ჩვენი ერთგულება ამ ფასეულობების მიმართ ცალსახაა. ეს დადასტურდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომლის შედეგადაც მოხდა ძალაუფლების პირველი დემოკრატიული გადაბარება; ასევე თავისუფალი და სამართლიანი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებით, რომლის დროსაც ჩვენმა ამომრჩეველმა მმართველი ძალა მშვიდობიანი გზით შეცვალა.

ამ არჩევნებმა დაამტკიცა, რომ საქართველო გასცდა პოსტსაბჭოთა ეპოქას და ახლა პოლიტიკური სიმწიფისა და დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესში იმყოფება. ამ პოლიტიკურ კონტექსტში, ჩვენ ველოდებით, რომ შესრულდება ამ სამიტის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები.

საგულისხმოა, რომ სამიტის შემდეგ ჩვენი ყველაზე დიდი მოლოდინია:

- ასოცირებული ნევროზის ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელიც მოიცავს შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ;
- პროგრესის მიღწევა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ეკონომიკურ სივრცეზე.

- ევროპული სამეზობლო ინსტიტუტის (ENI) ფარგლებში, რეფორმებისა და განვითარების პროექტების თანხმების განხორციელება;
- სავიზო რეჟიმის გამარტივება და, საბოლოოდ, უვიზო რეჟიმზე გადასვლა;
- თანამშრომლობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკის მიმართულებით;

ხვალ ხელს მოვანერთ ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის თაობაზე;

- ენერგოტრანზიტული ქვეყნის რანგში - თანამშრომლობა ევროპის ენერგოუსაფრთხოების იმ ინიციატივების შესახებ, რომლებიც გულისხმობს კასპიის რეგიონის დაკავშირებას ევროპასთან; ასევე გაერთიანება ევროპის ენერგოსაზოგადოებასთან.

ჩვენ გვჭირდება ევროკავშირის მხარდაჭერა და ჩართულობა და ვიმედოვნებთ, რომ ევროკავშირი ცხადად დაუჭერს მხარს ჩვენს დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას გარე წნეხის პირობებში“,- აღნიშნა ვილინიუსში საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა.

ოფიციალური სადილით პრეზიდენტმა 28 ნოემბერს დაგეგმილი შეხვედრები დაასრულა.

29 ნოემბერს გიორგი მარგველაშვილი საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდს შეხვდა და სიტყვით გამოვიდა აღმოსავლეთ პარტნიორობის პლანარულ სესიაზე. გიორგი მარგველაშვილის მიმართა დაახლოებით სამ წუთს გაგრძელდა.

ირაკლი ალასანია - 2014 წლის ბოლომდე ISAF-ის მონაწილე ქართველი სამხედროების რაოდენობის შემცირება არ იგეგმება

2014 წლის ბოლომდე ავღანეთში ISAF-ის მისიაში მონაწილე ქართველი სამხედროების რაოდენობის შემცირების საკითხი დღის წესრიგში ვერ დადგება. როგორც თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ ტელე-რადიო „პალიტრის“ ეთერში გადაცემა „ემას შოუში“ განაცხადა, 2014 წლის შემდეგ ავღანეთში ქართველი სამხედროები არასაბრძოლო მისიას განახორციელებენ.

„ISAF“-ის მისიაში მონაწილე სამხედროთა რაოდენობის შემცირების საკითხი დღის წესრიგში ვერც დადგებოდა, იმიტომ რომ საქართველოს ალბეული აქვს ეს ვალდებულება და პირნათლად ასრულებს მას. სწორედ ეს არის, რისთვისაც ავღანეთში ქართველ ჯარისკაცს და საქართველოს ჩვენი ნატოელი პარტნიორები. ნდობა, რომელიც არის ქართველი სამხედროების მიმართ, არის ერთ-ერთი ფუნდამენტი, რატომაც ხდება დღეს ევროკავშირთან შეთანხმების პარაფირება, რატომაც აძლევს ასეთ მაღალ შეფასებას ნატო-ს გენერალური მდივანი თავდაცვის სისტემაში განხორციელებულ რეფორმებს მაღალ შეფასებას. ჩვენ 2014 წლის ბოლომდე იმ გეგმით მივდივართ, რაც შეთანხმებული იყო ნატოსთან, მაგრამ შემდეგ, ბუნებრივია, ჩვენს კონტიგენტს შევამცირებთ და ახალი მისია, რომელიც 2014 წლის შემდეგ დაიწყება იქნება ავღანეთში, თვისობრივად სხვა შინაარსის და არა საბრძოლო. ნატო-მ უკვე მიიღო გადაწყვეტილება და 2015 წლისთვის საქართველო სწრაფი რეაგირების ძალების ნაწილი ხდება. პრაქტიკულად ჩვენი სამხედროები ნატო-ს ნევრი ქვეყნის დონეზე არიან აყვანილი და ახლა პოლიტიკოსებმა გადაწყვეტილებები უნდა დაეწიქარათ, რომ ქვეყანა გახდეს ნატო-ს ნევრი“, - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

მძლოლის სიმთვრალის ხარისხი კანონით განისაზღვრება

მძლოლის სიმთვრალის ხარისხი კანონით იქნება განსაზღვრული. ამის შესახებ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ჩაინერგა. პროექტი პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა. „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ დაემატა პუნქტი, რომლის მიხედვით, ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობად მიიჩნევა მძლოლის სისხლში 0,3 პრომილეზე მეტი ოდენობით ეთანოლის შემცველობა.

ამასთან, თუ ტესტირების მეშვეობით ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობა გამოვლინდა, მძლოლი უფლებამოსილი იქნება, ტესტირებიდან ორი საათის განმავლობაში კლინიკურ-ლობორატორიული შემოწმების, ან სისხლის ალებისა და მასში ეთანოლის შემცველობის დადგენის მიზნით, შესაბამის სამედიცინო-საექსპერტო დაწესებულებას მიმართოს.

იმ შემთხვევაში, თუ კლინიკურ-ლობორატორიული შემოწმების შედეგად მძლოლს ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობა არ დაუდგინდა, ის ადმინისტრაციული სახელისაგან გათავისუფლდება. კანონში ასევე ჩაინერგა, რომ მძლოლს უფლება აქვს, მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება დადგენილი წესით მოითხოვოს.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების მართვისას ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისთვის თავის არიდება, გამოიწვევს მართვის უფლების შეჩერებას ექვსი თვით. 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირისთვის კი, მართვის უფლების შეჩერებას ერთი წლის ვადით.

ლერძულა ხაზის გადაკვეთისთვის ჯარიმა განახვერდა

უწყვეტი ლერძულა ხაზის გადაკვეთისთვის ავტომანქანის მძღოლი 100 ლარის ნაცვლად, 50 ლარით დაჯარიმდება. 200 ლარიდან 100 ლარამდე შემცირდა ჯარიმა წლის განმავლობაში აღნიშნული ქმედების განმეორების შემთხვევაში.

შესაბამისი ცვლილებები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შევიდა. ინიციატივა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკუთვნის.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შეტანილი ცვლილებების თანახმად, ქვეითად მოსიარულეები და საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეები მოძრაობის წესების დარღვევის გამო 3 ლარის ნაცვლად, 10 ლარით დაჯარიმდებიან.

უკრაინა ახალი „ნარინჯისფერი რევოლუციის“ მღვარზე..

უკრაინის დედაქალაქში ევროინტეგრაციის მომხრეთა რამდენიმე ასეულ ათასიანი საპროტესტო აქცია, რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს.

უკრაინელი ხალხი პრეზიდენტ იანუკოვიჩის გადაწყვეტილებას (უარი თქვა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე), აპროტესტებს.

იანუკოვიჩის მილიციამ პროტესტანტთა დაშლა ცრემლსადენი გაზითა და ხელკეტებით ცადა. თუმცა, ამ ფაქტმა პროტესტი კიდევ უფრო გააღვიძა.

უკრაინის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ უფალო შიმშილობა გამოაცხადა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნით, - იუწყება „ბიზისი“ ტიმოშენკოს ადვოკატის სერგეი ვლასენკოს განცხადებაზე დაყრდნობით და აცხადებს, რომ ყოფილი პრემიერი უკრაინელებს ბრძოლის გაგრძელებას უბოძებდა: „არ დანებდეთ, გააგრძელეთ ნინსვლა გამარჯვებისკენ. თუ 29 ნოემბერი იანუკოვიჩი ასოცირების ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერს, მოსპეთ მისი ხელისუფლება მის-სავე კორუფციულ მეტასტაზებთან ერთად!“ უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი კი უკრაინელებსადმი მიმართავს ავრცელებს. სადაც აღნიშნავს, რომ ქვეყანა წნეხის ქვეშაა,

რის შედეგადაც შეჩერდება ნარმოებები და მილიციისგან ადამიანი ქუჩაში აღმოჩნდება. მისივე თქმით, მიუხედავად ზენოლისა, უკრაინას არ გააჩნია ევროპული სტანდარტების ალტერნატივა: „ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს, სადაც ადამიანთა უფლებები, კანონის წინაშე თანასწორობა, არჩევანის უფლება, სოციალური დაცვა - ყველასთვის მთავარი ფასეულობები იქნება...“ უკრაინის პრეზიდენტი ამბობს, რომ მისმა ქვეყანამ არაერთი სირთულე გადალახა, განსაკუთრებული იყო ეკონომიკური პრობლემები, თუმცა იგი არასოდეს გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც უკრაინას ზიანს მიაყენებს: „უკრაინელი ხალხის ნება იყო და იქნება გადაწყვეტი ჩემს ყველა გადაწყვეტილებაში. დარწმუნებული ვარ, ყველა სირთულეს გადავლახავთ, რადგან არ არსებობს არც ერთი წინააღმდეგობა, რომელსაც ვერ გადალახავს ბრძენი და ერთსულოვანი ერი!“ უკრაინას მძიმე დღეები უდგას. ასეთი მასშტაბური აქციები ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ არ გამართულა. ევროინტეგრაციის მომხრე უკრაინელები კიევის ცენტრში 21 ნოემბერს მას შემდეგ შეიკრიბნენ, რაც უკრაინის მთავრობამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა შეაჩერა. საპროტესტო აქციები ორი დღეა საპარ-

თალდაცავებთან შეტაკებებისა და ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზის გამოყენების ფონზე მიმდინარეობს, თუმცა უკრაინელები ჯიუტად აგრძელებენ პროტესტს და აცხადებენ, რომ უკრაინა ევროპის ნაწილია და რუსეთისკენ აღარ დაბრუნდება! მოახდენს თუ არა გავლენას უკრაინაში მიმდინარე პროცესები საქართველოზე, ოპოზიცია აცხადებს, რომ რუსეთი უკრაინის შემდეგ, საქართველოსთვისაც მოიცლის და ეკონომიკური ბერეკეტებით აიძულებს, უარი თქვას ევროკავშირთან ინტეგრაციაზე. „საქართველოსა და მოლდოვას აქვთ ჩვენი მხარდაჭერა იმ რეფორმების განახორციელებლად, რაც ევროკავშირთან ინტეგრაციისთვისაა საჭირო“, - განაცხადა ევროკომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულემ, - „თუ საქართველო ერთგული დარჩება იმ ფასეულობებისა, რაც მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის და დაამყარებს კანონის უზენაესობას, არ დაუშვებს შერჩევით სამართალსა და ქვეყანაში იქნება თავისუფალი მედია, მაშინ ის უფრო მეტად დაუახლოვდება ევროკავშირს. რაც უფრო ახლოს მივა საქართველო ევროკავშირთან, მით უკეთ დავიცავთ მას“.

კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის, ლინკოლნ მიტჩელის განცხადებით, საქართველო ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების მზადების პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით, ევროკომისარმა აღნიშნა: „ევროკავშირი კვლავ მზად არის ასოცირების ხელშეკრულება გააფორმოს უკრაინასთან. თუმცა, ეს საკითხი ახლა თავად უკრაინის გადასაწყვეტია. ჩვენ ასევე ცხადად დავაფიქსირეთ, რომ ევროკავშირი აგრძელებს რუსეთთან

დიპლომატიას, რათა განეუმარტოთ მას, თუ რა ბუნეფიტიები მოაქვს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის ევროკავშირთან ურთიერთობას“. უკრაინაში მაინც მიმდინარე აქციას სტუდენტები შეუერთდნენ. ერთ-ერთი მამტაბური მსვლელობა კიევის შეჩერების უნივერსიტეტიდან დაიწყო. სტუდენტების ძირითადი მოთხოვნაა ხელისუფლებამ არ თქვას უარი ევროინტეგრაციაზე. ახალგაზრდები აქციაზე ევროკავშირის დროებით არიან მისულეები. აქციის ერთ-ერთი მონაწილის, სტუდენტი დამა პოპოვას განცხადებით „სტუდენტები ვემზობით ევროინტეგრაციას. ვითხოვთ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერას“.

29 ნოემბერს უნდა გამხდარიყო ცნობილი, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა უკრაინის მთავრობა- დარჩებოდა საკუთარი პრინციპების ერთგული თუ დამტკიცებდა, რომ დემოკრატიულ ღირებულებებს სცემს პატივს და ხალხის ნებას წინ არ ალუდდება. როგორც ჩანს, მან ვერ შეძლო იმ მონაპოვრის შენარჩუნება, რასაც ევროპისკენ მიმავალი გზა ჰქვია. უკრაინაში საყოველთაო აქციები გრძელდება და ქვეყანა კიდევ ერთხელ დგას ახალი რევოლუციის ზღვარზე.

მასალა მოამზადა ინგა შილაშვილმა

რა უპირატესობებით ისარგებლებენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სტატუსის მიანიჭების პროცესი დამატებითი დახმარებას მოითხოვს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სამინისტრო „კოოპერატივების მოტივაციური და ხელის საშუალებით უზრუნველყოფის პროექტს“ განახორციელებს. ამასთან, კოოპერატივების ბრანდის მიღების შესაძლებლობა ეძლევა. განსაკუთრებით კოოპერატივებში დასაქმებულთა უფასო სწავლება-გადამზადება ასევე კოოპერატივები საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებენ.

საქართველოში ფერმერული მეურნეობებისა და კოოპერატივების განვითარება, ევროკავშირის ერთ-ერთი რეკომენდაციაა. ევროპის სამეზობლო პროგრამა, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის - ENPARD-ის ფარგლებში საქართველო 2013-2016 წლებში 40 მილიონ ევროს მიიღებს.

საქართველოს პარლამენტმა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ კანონი“ 2013 წლის 12 ივლისს მიიღო. კანონის მიხედვით, შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭებას, შეწყვეტას, მონიტორინგსა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს.

„საქართველო მცირემშენიან ქვეყანაა. თავის დროზე გაუაზრებლად ჩატარებული მინის რეფორმის შედეგად, ძალიან დანაწევრდა მიწები. მოსახლეობის 90 %-ზე მეტს მფლობელობაში აქვს მხოლოდ 2 ჰექტრამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები, რომელზე მუშაობაც არარენტაბელური და არაუფექტურია. აღნიშნული პრობლემების მოგვარების და მცირე ფერმერთა

დახმარების მიზნით, დაგეგმილია მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის საკანონმდებლო ინიციატივაზე. სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და პარლამენტის აგრარული კომიტეტის ერთობლივი მუშაობის შედეგად, პარლამენტმა მიიღო კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, რის საფუძველზეც ჩვენ შევქმენით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. ახალშექმნილი სამსახურის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფერმერთათვის ისეთი მექანიზმების შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს კოოპერატივების გრძელვადიან განვითარებას და მათ წარმატებულ მუშაობას. პირველ ეტაპზე მთელი ქვეყნის მასშტაბით დაინიშნა ფართობსშტაბიანი საინფორმაციო კამპანია, რათა გლეხებს დეტალურად აეუხსნათ, როგორ უნდა მოხდეს კოოპერატივის შექმნა, რა დადებითი მხარეები აქვს და რა სარგებლობას მოუტანს მათ კოოპერატივში გაერთიანება. მიმდინარე წლის დეკემბრიდან კი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო ფერმერთა გაერთიანებებისთვის სტატუსის მინიჭების პროცესსაც დაიწყო,“ - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიაშვილმა.

მინისტრის თქმით, კოოპერატივების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს: სოფლად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას; მიწების გამსხვილებას, კონსოლიდაციას; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში განხორციელდება ნებაყოფლობითი; მისი მართვა, დემოკრატიული პრინციპით ხორციელდება; ყველა წევრი თანასწორია; მნიშვნელობა არა

აქვს, თუ რა რაოდენობის ქონებით შევა გლეხი კოოპერატივში - 100 ჰექტრისა და 1 ჰექტრის მფლობელი გადწყვეტილებას ერთნაირად იღებს. ერთ წევრს ერთი ხმა აქვს.

რა პროგრამების განახორციელებას აპირებს სახელმწიფო კოოპერატივების ხელშესაწყობად

სოფლის მეურნეობის სამინისტრო „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტივაციური და ხელის სათესი უზრუნველ-

ასამაღლებელი სხვა პროგრამები;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, როგორც გაერთიანება, კრედიტუნარიანად ითვლება და საკრედიტო რესურსი მისთვის უფრო ხელმისაწვდომია;

რა საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებენ კოოპერატივები

კოოპერატივის ქონება, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის, ქონების გადასახადით არ იბეგრება; მოგების გადასახადით არ

როგორ შევქმნათ კოოპერატივი

კოოპერატივის შექმნისთვის საჭიროა გლეხების გაერთიანება დარგების მიხედვით.

მაღალმთიან რეგიონში კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 3-ზე, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე კი, 5-ზე ნაკლები არ უნდა იყოს;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს: 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ამ კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ფლობს პაის.

კოოპერატივის ქონება

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ქონება იქმნება წევრთა (მეპაიეთა) შენატანით (პაით), სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული მოგებით, გრანტით ან სხვა წყაროებით;

კოოპერატივების შექმნისას კერძო მფლობელობაში არსებული მიწების გაერთიანება სავალდებულო არ არის, თუმცა სურვილის შემთხვევაში და წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილებით შესაძლებელია.

რა არის საჭირო კოოპერატივის სტატუსის მისაღებად

გაერთიანებით დაინტერესებული პირები უნდა დაარეგისტრირდნენ სამეწარმეო რეესტრში კოოპერატივის ორგანიზაციული ფორმით;

სააგენტოში წარადგინონ მინსასა და/ან ქონებაზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი და კოოპერატივის წესდება.

სტატუსის მინიჭების პროცესი 2013 წლის დეკემბრიდან დაიწყო.



ყოფის პროექტს“ განახორციელებს. პროექტი ითვალისწინებს კოოპერატივებისთვის 1700 ერთეული მოტობლოკისა და 2000 ხელის სათესის შეღავათიანი პირობებით, ან ლიზინგით (გრძელვადიანი იჯარა-გამოსყიდვის უფლებით) გადაცემას; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი სარგებლობს უპირატესობით, მიიღოს გრანტი (საჩუქარი); განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში დასაქმებულების უფასო სწავლება-გადამზადება და კვალიფიკაციის

იბეგრება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი და გრანტი;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის არ არის დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით, რომელიც, მაგალითად, შპს-ს შემთხვევაში 200 000 ლარს შეადგენს;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები სარგებლობენ იმ საგადასახადო შეღავათებითაც, რომლებიც სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში მოქმედებს.

როგორი სპორტსმენი იყო ირაკლი ღარიბაშვილი

(პირველი გვერდიდან)

– კიკობოსინგი სპორტის ლამაზი სახეობაა და ისეთი ილეთებია, რომლებიც მაყურებელში იწვევს ენერჯის მოზღვავებას და აჟიოტაჟს, თუ გახსოვთ, პრემიერს რა სახის ილეთები მოსწონდა?

– ირაკლის კარგად გამოსდიოდა შემტევი კომბინაციები, შორი დისტანციით მუშაობა ხელითაც და ფეხითაც. როდესაც კარგად დაიხვეწა და ასე ვთქვათ სპორტსმენად ჩამოყალიბდა, მონინალმდეგეს ისეთი სწრაფი დარტყმებით აჩერებდა და ქულებს აგროვებდა, რომ მეტოქე გაოცებული რჩებოდა. ეს მომენტი ორივეს გვახარებდა.

– ანუ წარმატებულ სპორტსმენად ჩამოყალიბდა?

– ასეც იყო, ირაკლი ჭაბუკთა გუნდის საუკეთესო კიკობოსინგელი გახდა. ბევრს ვარჯიშობდა ასევე ამტანობაზე, გამძლეობაზე, თავის მეგობრებთან ერთად ყოველ დღე იტარებდა დარტყმებს და სპორტულ რეჟიმს განსაკუთრებული სიზუსტით იცავდა. სპორტის მიზანზე ხომ ესაა - ადამიანი აიძულოს საკუთარი თვისადმი სიმკაცრე გამოიჩინოს და

ჯანმრთელი ცხოვრების წესით აცხოვროს. ირაკლი არ სჯერდებოდა მოცემულ სავარჯიშო პროგრამას და თვითონ ართულებდა კიდევ. ხელზე და ფეხზე სიმძიმეს იკეთებდა და ისე ვარჯიშობდა. სირბილის დროს ზურგჩანთაში სიმძიმეებს აწყობდა და გმირთა მემორიალის კიბეების საფეხურებზე არბენას აკეთებდა, გრძელ მანძილზე სრბილისასაც იგივეს აკეთებდა.

– მეგობრებთან დამოკიდებულებაში როგორი იყო?

– ირაკლი მეგობრებთან ძალიან თბილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. ვეტყვი, რომ სპორტულ დარბაზში და განსაკუთრებით ორთაბრძოლების ჯგუფში შექმნილი მეგობარი სულ სხვაა და შეგიძლიათ ცხოვრების სირთულეებისას თავისუფლად დაეყრდნოთ. ვარჯიშის პროცესი, შეჯიბრებები, ერთად განცდილი ემოციები, გამარჯვება თუ მარცხი სხვა დამოკიდებულებას აყალიბებს ერთმანეთისადმი.

ასევე იყო ირაკლიც, მეგობრებთან მხიარული, უშუალო და თბილი. გამოირჩეოდა იუმორით და შეეძლო განწყობა

შეექმნა. მაშინ ხშირად ვიცვლიდით სავარჯიშო ადგილებს, იმ დროს სავარჯიშოდ რაიონიდან სოფელ სამრეკლოში მოდიოდნენ ბავშვები და ირაკლის მამა, ბატონი ტარიელი საკუთარი ავტომობილით მუდამ ბავშვების სამსახურში იყო, ირაკლის მეგობრებიც მას დაჰყავდა დარბაზში.

იმ პერიოდში როცა ირაკლი ვარჯიშობდა, საქართველოში მძიმე წლები იყო. ეს ის დროა, როდესაც საქართველოში არ იყო ელექტროენერჯია, დარბაზში სანთლის შუქზე ვვარჯიშობდით. აღრ ვსაუბრობ სხვადასხვა შეჯიბრზე გამგზავრების სირთულეებზე და სხვა პრობლემებზე. მართალია, გახსენებაც კი არ მინდა იმ გაჭირვებული დროის, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობა მაშინაც უდიდესი შემართებით ვარჯიშობდა და მომავლის იმედს არასოდეს კარგავდა. ესაა ნამდვილი ქართული სულისკვეთება. – პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ ირაკლის აქვს თუ არა ურ-



თიერთობა მწვრთნელთან?

– იმდენად ზნეობრივად მაღალი ადამიანია, რომ არავის დაივინყებს, განსაკუთრებით მასწავლებლებს, რაღატომ უნდა, უყურადღებოდ არ გვტოვებს, უფრო ტელეფონის მეშვეობით გვებულობს გუნდის სპორტულ მიღწევებს.

– რას მიმართავდით პრემიერს პრესის საშუალებით?

– დარწმუნებული ვარ, ბატონი ირაკლი გაამართლებს

ხალხის იმედებს და საქართველოს გაძლიერებას მთელ თავის ენერჯის მოახმარებს. მე კი ერთს ვთხოვდი, რომ საქართველო ვაქციოთ სპორტულ ქვეყანად. მთელი ახალგაზრდობა ჩავრთოთ სპორტში რისთვისაც საჭიროა მთავრობის განსაკუთრებული ინტერესი და ნება. იმედია, ამ ამოცანასაც ირაკლი მოაგვარებს.

ილია მარტყოფლიშვილი

გთავაზობთ 2014 წლის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს. მისი საჯარო განხილვა 11 დეკემბერს 13 საათზე გაიმართება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის საკონფერენციო დარბაზში. გთხოვთ, მოზრდნდეთ და თქვენი წინადადებები და შენიშვნები მოგვანოდოთ.

Table with 12 columns: Year, Budget Type, Sub-Category, and Financial Data (Total, Current, etc.). It is divided into two main sections: 2012 წლის ფაქტი and 2013 წლის გეგმა. The table lists various municipal services and their corresponding budget allocations.

Table with 18 columns: Year, Budget Type, Budget Item, 2012 Actuals, 2013 Budget, 2014 Budget, 2012 Actuals, 2013 Budget, 2014 Budget. It contains detailed financial data for various categories like 'განათლება' and 'საზოგადოებრივი და ანაღარდული ორგანიზაციების ხელშეწყობა'.

ერთი დღე მშენებლების სამყაროში

2013 წლის 17 ნოემბერია. გვიანი შემოდგომისთვის უჩვეულოდ თბილი და მზიანი დღე გამოვიდა. განწყობაც შესაბამისი მატებს. დღეს დიდი ხნის სურვილი მისრულდება—ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის დასათვალიერებლად მივდივარ! ჩემი აქტიური ცხოვრებისა და სურვილის მიუხედავად, დღემდე არ მომეცა საშუალება, მენახა ეს უნიკალური ადგილი. მშურდა იმ ადამიანების, რომლებიც ალტაიურებს ვერ ფარავდნენ მისი ნახვის შემდეგ.

* მე კი, მრავალი შემოთავაზების მიუხედავად, დღემდე სულ რაღაც მიშლიდა ხელს და ვერ ვახერხებდი იქ ჩასვლას. დღეს კი ექსკურსიაზე მივდივარ, რომელიც „საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტის“ ფარგლებში დაიგეგმა. პროექტს ერთდროულად ახორციელებდნენ საერთაშორისო ორგანიზაცია „ფლორა და ფაუნა“ და სახეობათა კონსერვაციის ცენტრი „ნაკრესი“. ექსკურსია ამ პროექტის ფარგლებში ჩატარებული ფოტოკონკურსის— „საქართველოს დაცული ტერიტორიების“ გამარჯვებულთათვის მოენყო. მათ ექსკურსიის გარდა საჩუქრად ჟურ-

ნამდენიმე სპეციალობიდან ტურიზმი გამოიწვევა, შეუქმნია ტურისტული სააგენტო „www.paata.ge“ და დღე და ღამ მუხლჩაუხრელად სერავს საქართველოს ლისშესანიშნაობებს-ისტორიულ თუ ბუნების ძეგლებს. ამოგზავრებს უცხოელ ტურისტებს, აწონებს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ გამოიჩინა მონდობებით ეკიდება ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის გულში მოგზაურობით გამოწვეული სიმოწვევების აღქმას, ალერსებს მათში საკუთარი ქვეყნის სიყვარულს, პატივისცემას და ერთგულებას. მასზე ძნელად თუ იტყვი, მოყვარული ფოტოგრაფიაო. მის არქივში ბევრი შედეგია. ბევრს მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. სულ ახლახანს დაბრუნდა ჩინეთში გამართული სემინარიდან, (იქ მიღებულ შთაბეჭდილებებს ჩვენც ემოციურად გვიზიარებს). მისი უახლოესი მიზანია, უკეთ გაეცნოს ინდოეთს. კონკურსზე წარმოდგენილი იყო მისი ფოტო „ღამის თუშეთი“, რომელიც უაღრესად შთაბეჭედავი და იღუმალებით სავსე გახლდათ, ამიტომაც მოიპოვა ჟიურის რჩეულის ტიტული.

მე, მარიამი და ლამა პირველად ვართ ვაშლოვანში, პაატა რამ-

ლი თანაბარი ბორცვები სივრცეში ჩაკარგული მრავალნაზნაგოვანი მთებით გრძელდება და „სამო არის საცქერლად“... თემური მათი წარმოქმნის სავარაუდო ვერსიებს გვაცნობს. ბევრი ვიარეთ თუ ცოტა ვიარეთ, პანტიმარის ხეობასაც მივადექით. თუ გინდათ იხილოთ ბუნების სასწაულები, აქ აუცილებლად უნდა წახვიდეთ. ამის აღწერა ძნელია. სამხრეთის მხრიდან გამოშვებული სალი კლდეები, ჩრდილოეთიდან უხვად არის სიმწვანეში ჩაფლული, სადაც ღვია და საკმლის ხე სჭარბობს. ღვია რომ წინვით ხე იყო, იმ დღით პირველად გავიგე. აქა-იქ კი სამშვენივრით მოჩანს თრიმლის ნითლად აბრიალებული ფოთლები, რომელიც ეს-ეს არის ჩამოსცივება დედა-ხეს და, სამწუხაროდ, დაასრულეს თავის ხანმოკლე არსებობას. ხეობის სიღრმეში ქვაღორიან გზას მიფუყვებით და თვალს ძლივს ვუწვდნით ჩამოქცეულ მთებს, რომელიც ზოგან ციხე-სიმაგრეს ჰგავს, ზოგან ბუმბერაზი ცხოველის სახე აქვს, ზოგან კი უსასრულოდ ატყორცნილი „ხელაპყრობილი“ თითქოს ცას შეჰლადადებს და სიმშვიდეს და მარადიულობას შესთხოვს. აი „მერცხლების ქალაქი“. ახლა აქ არ ისმის მერცხლების ჭიკჭიკი, პირში ჭია-ლუა მომარჯვებული დედა მერცხლებიც არ ჰკრავენ კამარას საკუთარი ბუდის გარშემო ბარტყები რომ დააბურონ. ახლა აქ სიმშვიდეა. მერცხლები თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ, ბუდეთა დიდი ნაწილი მოშლილია. აქაურობა გაზაფხულის მოსვლის იმედიტ განაბულა.

ახლა ჩვენ უკვე ფეხით მიფუყვებით „დათვის ხეობას“. მარჯვნივ კლდის ძირში ნიჟარებით მოჭედილი ქანებია, რაც იმას ადასტურებს, რომ აქ უხსოვარ დროში ზღვა იყო. ხელმარცხნივ სპილოს ბეჭის ძვლის იმიტაციაა მიმდგრებული, სამხრეთული სპილოს ნამდვილი ძვალი ცოტა ხნის წინ წყალმა ჩამორუცხა. იგივე სახეობის სპილოს სრული ჩონჩხი კი თბილისის სახელმწიფო მუზეუმში ინახება. ბეჭის სიგრძე 87 სანტიმეტრს აღწევდა და კარგად წარმოაჩენდა მილიონი წლის წინ მცხოვრები თუშუმნოვარის გიგანტურ ზომას. დიას, აქ სპილოც ბინადრობდა და რამოდენიმე წლის წინ ლეოპარდიც დაბოჯებდა. ის აღმოჩენიდან რამდენიმე წლის მანძილზე ფოტოსაფანგების სამუალებით არაერთხელ დაფიქსირებულა.

- თუ ლეოპარდი ამ ხნის მანძილზე მარტოდ-მარტო იყო, სულ ერთიდაიგივე ცხოველი ფიქსირდებოდა, რადგან ლეოპარდები ხალხების მოყვანაობით და განლაგებით ერთმანეთისაგან ისე განსხვავდებიან, როგორც ადამიანის ხელის თითების ანაბეჭდები. ამიტომ, სხვა ლეოპარდის გამოჩენას ჩვენ ადვილად შევამჩნევდით, - გვიხსნის თემური. ალბათ, სწორედ სიმარტოვით მოიხსნა და მენწყლის საძებნელად სხვა ტერიტორიაზე გადავიდა, თუ, რა თქმა უნდა, უარეს შემთხვევაში ვინმე უსინდისო

„რა ღამაზი ხარ, მამულო, შენი გამჩენის ჭირიმე!“



ჟიურის რჩეული ფოტო „ღამით თუშეთი“ ავტორი: პაატა მარდანაშვილი

ბრაკონიერმა არ მოინადირა! ჩვენ ისევ ფეხით მიფუყვებით „დათვის ხეობას“. ისე ვავიარეთ ორი კილომეტრი, არც გავგვიცა, იმდენ საინტერესო და თვალის საამებელ სანახაობას ვუცქერდით, თუმცა, არც მგლის, დათვის და გარეული ღორის ნაკვალევი გამოგვიჩინია. სეზონი არ არისო და გველთან შეხვედრის შიში არ გვქონდა, მაგრამ გველის წინილს მაინც ვადავანყდით. რადგან საშიში არ იყო, გულდასმით დავათვალიერეთ, ფოტოებზე გადავიღეთ, თუმცა, ისეთი „ნორჩი“ იყო, წარმოიშვა ვერ დავადგინეთ.

ჩვენი ექსკურსიის ბოლო აკორდი მამა-პაპური სუფრით, მწვადით და სადღეგრძელოებით დამთავრდა. მასპინძელმა ყველა იმ ადამიანის სადღეგრძელო შესვა, ვინც თავისი კვალი დაამჩნია, ვინც ამაგი დასდო ამ ტერიტორიის ბუნებრივი მდგომარეობის შენარჩუნებას. ჯერ კიდევ 1935 წელს ბუნების დიდი ქობაგების აკადემიკოს ნიკო კეცხოველისა და პროფესორ ვასილ გულისაშვილის თაოსნობით დაარსდა ნაკრძალის ტერიტორია, რომელიც მოიცავს პანტიმარას და ვაშლოვანის მსიხეს. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 300-600 მეტრს შორის მერყეობს. ტერიტორიის უკეთ დაცვის მიზნით 2003 წელს დაარსდა ვაშლოვანის ეროვნული პარკი (ფართობით 25.114 ჰექტარი), ასევე ბუნების ძეგლები: ალაზნის ქალა, არნივის ხეობა, ზორნაბუჯი და ტახტი-თეფა, რომლებიც განსაკუთრებული უნიკალობით გამოირჩევიან. ვაშლოვანში ფლორის და ფაუნის მრავალფეროვნებას შეხვედებით, მაგრამ მისი ყველაზე დამახასიათებელი იმეათობა საკმლის ხეობაშია, რომელსაც ხალხი ხშირად აზებაჯიჯანული სახელით „სალსალაჯი“ მოიხსენიებს.

საკმლის ხის ვაშლის ხესთან დიდი მსგავსება და მიჯრითობა ხეხილის ბაღთან ასოციაციას იწვევს. გეოგრაფიული სახელი „ვაშლოვანიც“ აქედან უნდა მოდიოდეს. მისი მდიდარი ფლორა და ფაუნა მოსაფრთხილებელ-მოსავლელია და აქი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაც არ ზოგავს ძალეებს ამ საშვილიშვილო საქმისთვის. და როცა ვაშლოვანზე და ბუნებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება მადლიერება არ გამოვხატოთ ჩვენი თანამედროვეების პაატა ხუმარაშვილის (მამა პეტრე) ამირან კოდაშვილის და ვაჟა ჩერქეზიშვილის მიმართ, რომლებმაც პირველი ტურისტული კვალი გაავლეს, შეისწავლეს, საზოგადოება დაინტერესეს და ხელმისაწვდომი გახადეს იქ მოგზაურობა. ისინი ჩვენი დროის „მინდები“ არიან და მადლობა მათ უანგარო და თავდადებული ღვაწლისათვის.

ამასობაში თვალსა და ხელს შუა შემოგვალამდაგული გვწყებოდა, რომ შემოდგომის მოკლე დღე უცბად გაილია. ზოგადად, სულ მცირე სამი დღე მაინც არის საჭირო, ვაშლოვანის მნიშვნელოვანი ადგილები რომ მიიარო, გვიოხრა თემურმა. გევი ახლა დედოფლისწყაროსკენ ავიღეთ. უხმოდ ვისხედით მანქანაში და შთაბეჭდილებებით სავსენი გონების თვალით ვაანალიზებდით ნანახს. ხანდასან მელიები ან ველური კატები თუ გადაგვიჭრიდნენ გზას და ჩვენს ყურადღებას იქცევდნენ. ნასამოვნები სტუმრები და მასპინძელი მომავალი შეხვედრის იმედიტ დავემყიდობეთ ერთმანეთს.

ნაირა გორაშვილი.




ნალი National Geographic-ის ერთ-ერთი გამონერა მიიღეს. სტუმრებთან ერთად გევი ვაშლოვანისკენ ავიღეთ. ეს სტუმრები ჩატარებული ფოტოკონკურსის გამარჯვებული მოყვარული ფოტოხელოვანები არიან: პირველი ადგილის მფლობელი ლამა ნიკოშვილი გახლავთ. ის სპეციალობით ეკონომისტია. მუშაობს შპს „სტოკის“ (საყოფაცხოვრებო და ინდუსტრიული ტექნიკის სათადარიგო ნაწილების შემომტანი ფირმა) შესყიდვების სპეციალისტად. საკმაოდ დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, ის სამოგზაუროდ დროს მაინც პოულობს და საქართველოს თითქმის ყველა დაცული ტერიტორია აქვს შემოკლილი. მისი საკონკურსო ფოტო კოლექციის დაცული ტერიტორიაზე იყო გადაღებული, რომელმაც, როგორც ზემოთაც გითხარით, პირველი ადგილი დაიკავა.

მეორე ადგილი წილად ხვდა 22 წლის მარიამ ბასიაშვილს. მან თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა დიზაინის განხრით, მაგრამ, დღესდღეობით, დიზაინზე მეტად მას ტურიზმი იზიდავს. მისი შობა მოგზაურობა, ფოტოგრაფია და ცეკვა. იგი სახელმწიფო ანსამბლ „ერისონის“ მოცეკვავე გახლდათ და „ფეხის ნვერებზე“ აქვს მოვლელი მსოფლიოს ბევრი ქვეყანა. იქნებ, სწორედ ამანაც განაპირობა მისი მოგზაურობისადმი სიყვარული, მოგზაურობამ კი — ფოტოარქივის შექმნის სურვილი და საბოლოო ჯამში ჩამოყალიბდა ერთი კარგი ქართველი გოგონა, რომელსაც უზომოდ უყვარს თავისი ქვეყანა, მისი ბუნება, მისი ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები.

ჟიურის რჩეულის ტიტული მოიპოვა პაატა ვარდანაშვილმა. პაატას

დენჯერმეა ნამყოფი და თავგადასავლებიც ბევრი აქვს. ჩვენმა მასპინძელმა „ნაკრესის“ ადამიანსა და მტაცებლებს შორის კონფლიქტზე რეაგირების ხელმძღვანელმა თემურ პოპიაშვილმა კი ხელისგულივით იცის თითოეული გოჯი, საუკეთესოდ ერკვევა მის ფლორასა და ფაუნას და ისეთ ვიდობას გვიჩვენებს, ალტაიურებს ვერ ვფარავთ.

- ისეთი გზით უნდა წავიყვანოთ, რომელიც ჯერ ტურისტული ბილიკი არ გახლავთ, მაგრამ უნიკალური ბუნება და სანახაობებია, - დავგვირდა თემური და, მართლაც, ისეთ გორებზე, აღმართ-დაღმართებზე ვიარეთ, რომ, ხანდახან ვფიქრობდი, აქ ადამიანს დიდი ხანია არ გაუვლია-მეთქი, ხანდახან შიშაც მიპყრობდა არაფერი შეგვემთხვას ან არ დავიკარგოთ-მეთქი, (ხმამალა რა მაკისრებინებდა), მაგრამ თემური ისე ოსტატურად მართავდა მანქანას და მიიკვლევდა გზას, სიმართლე გითხრა, მიკვირდა კიდევ, ამ ახალგაზრდა ბიჭმა როგორ დიამხასოვრა გზა-მეთქი. პირველად პატარა შირაქის გადაღმა ნავთობის ჭაბურღილის დასაფიქსირებლად გავჩერდით. იქვე მინდორზე ცხვრის ფარა იყო გაშლილი. უცებ იშრიალა და ცხვარს „შესეული“ შოშიების უზარმაზარი გუნდი შავი ღრუბელივით მოსწყდა ადგილს, ისინი თითქოს ჩვენთვის პოზიციონირდნენ-აღმა დაღმა ისე სინქრონულად დაფრინდნენ, რომ ალტაიურებს (ამ სიტყვას ძალიან ბევრჯერ ვიხმარ), ვერ ვფარავდით, ვიღას ახსოვდა ნავთობი! შემდეგ „ემ-მაკის ხეობას“ გადავხვიდით და თვალი დავატყებთ ულამაზესი პეიზაჟით: ერთმანეთს მიწყობ-




მგლის ნაკვალევი

ნიჟარებით მოჭედილი ქანები

„მე სანთელივით ლექსში დავდნები“ ...

ჯუმაბარ უთრუთაშვილს კარგად იცნობს დედოფლისწყაროს პოეზიის მოყვარული საზოგადოება. მის ლექსებს წითელ ზოლად გასდევს კომეტის მარადიული დარდი, რომელიც ზომავარ ცხოვრების უკუღმართობითაა გამოწვეული, ზომავარ კი თანდაყოლილი სევდით, ასე საცნაური და ახლოვანი რომაა ყველა პოეტური სულის ადამიანისთვის. 3 დეკემბერს ჯუმაბარ უთრუთაშვილის დაბადების დღეა. გაზეთი „შირაპი“ ულოცავს მას დაბადების დღეს და გთავაზობთ მის ახალ ლექსებს.



გენოსების მწარეა სვედრი (ჭაბუა ამირეჯიბს)

გენოსების მწარეა სვედრი, ბევრი მტერი ჰყავს მუდამ ჭკვიანებს, მაგრამ ბრძენკაცი ღმერთს არა ჰყვებოდა, ის გ ხას უნათებს ადამიანებს. განგებამ ჯვარი აგვიდა მძიმე, ვეფლენ, ეფელთვის ატარებ ამ ჯვარს, გვირგვინ, გვასმევ სიბრძნის ბარძიბებს,

სიყვარულით და ღვთის მადლით ნაჯვარს. საწუთრომ გ ასვა სამსალა ბევრი, არ დაიშურა ტკბილი ბადაც იც, სიბრძნეს ლეწავდი საწუთროს კვერით, იმიტომ გახდი დიდი ქადაგი. ჭკვიანი კაცი ბრიყვებს არ უყვართ, ეს იცის ჩვენში ზატარა ბადაც, ცუდრუკებს სული და ენა უყვართ, ანთხევენ მუდამ შხამსა და ბადაც. თვითონ ისურვებ, ვინც ტალახს გესვრის, ბრიყვსაც მოაქცევს შენი წიგნები, ქართულ კაცს მანამ ქართული ესმის, მარად და უფლებს მასთან იქნები.

ლექსსაც სულის წვის სურნელი ასდის

ისევ ძველი გ ზით უნდა ვიარო, აღარ შემფერის ახალ გ ზის დაქნა, სხვის ჭირი თუ არ გაუზიარო, ისე სიცოცხლე არა მწამს, რა ვქნა. ზატაროსებით ვერ ვიხიერე, მინც არ მიუვარს ლექსა არამი, რომ ვხედავ ბრიყვთა ბრიყვულ სეირებს, ლამის გამისკდეს გ ული ვარამით. ჩემი სიტყვის და ჩემი ქმედების არ შემცდრებია და არც შემცდრებია, კაცი დაბერდი, მინც ვერ ვხედავ, ობოლის კვერთხი რატომ ვერ ცხვება. მუხის დევნამაც გადამიოვლა, თუძცა ლექსებმაც ვერა მარგო რა,

ბედმა სწორი გ ზით ამოძიქროლა, აღმა და დაღმა ფუჭად მაგორა. რა დაუშავე ნეტავი გამჩენს, რომ არ მარგო უნა კარგი დარები, ჩემ კეთილ გ ულს რომ არავინ ამჩნევს და დამცინიან ვივინდარები. ჩემ ლექსსაც მუდამ სდის სუნი ოფლის, ლექსსაც სულის წვის სურნელი ასდის, მეც ვარ სტუმარი ამ წუთისოფლის, მტერ-მოყვარესთან მართალი ცამდის.

მე სანთელივით ლექსში დავდნები

ჯერ ისევ მიჭრის მუსლი და თვალი, გარჩევა ვიცი კარგის და ავის, დავდივარ კაცი ცამდის მართალი, მარად მომუღე ჩხუბის და დავის. ჩემს ტკივილს არავინ არ იზიარებს, მე კი სხვის ღარდი მადარდიანებს, ძაღლივით ღოკავით ვიჩნე იარებს და ვეძებ ნამდვილად დამიანებს. ბეჩავს ლექსებმაც ვერ მარგო რამე, რითმის დევნამაც არა ვრია რა. ლექსით ტკივილიც ვერ დავიამე, უფლის წყალობამაც განხე მინარა. იმასდა ვჩივი, უისმათმა მწარემ, ჯალათი მუხა რად მომისია, ლექსითაც გ ული ვერ ვაჯახარე, მძიმე გამოდგა მგ ოსნის მისია. არ მინდა მუხის ვალები, თორემ

ხელს არ ვახლებდი ამ წვეულ კალამს, ლექსით თუ არა, რით მოვამორებ, ამ ჩემ ბებერ გ ულს დარდას და ვარამს. გ ულს მუხა უდგას ისევ თავდებად, არ დამრეტილა რითმის მადნები, სანამ სიცოცხლე არ გათაცდებდა, მე სანთელივით ლექსში დავდნები.

დარდი ჩემს ლექსებს გასდევს შავ ზოლად, ძილსაც მიმწარებს ფიქრები მწარე, ლექსებთან ბრძოლამ ვადამიოვლა, დუშმანი მინც არ ვაჯახარე. ვერსად წავეულ უფლის განაჩენს, მგ ოსნის უღელი გამოდგა მძიმე, ღმერთმა დამაბადა, ღმერთი დამარჩენს, მიწას უბრალოდ როდი ვამძიმებ. არ ვეძებ რეალობას არავის, არცა მწერს სხვისი სახელ-დიდება, არ ვარ მლიქნელი, ქურდი, მწარევი, ღვთის მადლით სული მიცე ვის, ბრწყინდება. დავალ ამქვეყნად ჩემი გ სა-კვალთ, სხვისი გ ზით არც მსურს სვლა-სიარული, გესხ ვერ შემეცვლის ემბა-მხაკვარი, ნურვის ვგ ონივარ ჭკაშხიარული. გ ული კვლავ ლექსით ცოცხლობს, ეძაწვი-ლობს, რა ვქნა, ვერა ვძლებ ლექსის გარემე, დაე, ვინც უნდა, იმან დამწიხლოს, ლექსით ვიცოცხლებ და ვითარებ.

ულოცავთ! მათა და თათა თათაშვილებს!

გილოცავთ სიძის, ირაკლი ლარიბაშვილის პრემიერ-მინისტრად დანიშვნას, ყოფილიყოს ისეთივე სუფთა და წმინდა, როგორც აქამდე. უფლისგან დალოცვილი ყოფილიყოს ირაკლის პრემიერობის გასაველი გზა. ჩვენი ქვეყნისთვის და ხალხისთვის იყოს შეუცვლელი პრემიერი. ღმერთი ფარავდეს მას და მის ლამაზ ოჯახს.

კეთილი სურვილებით, ვალერი და თაილა ტოკლინიძეების ოჯახი.

ილიკო შარვაძეს!



გილოცავ ოქროს დაბადების დღეს. 4 დეკემბერს 4 წლის გახდები, ბებოს სიცოცხლე და ბებოს იმედო. იყავი ჯანმრთელი, ბედნიერი, გონიერი და ჭკვიანი ბიჭი. ცხოვრება სულ ია-ვარდით გქონდეს მოფენილი. შენი ახალგაზრდა მამიკოს ხსოვნა მუდამ გქონდეს გულში და მისი სახელის ღირსეული გამგრძელებელი ყოფილიყავი, ჩემო პატარა ანგელოზო. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

დიდი სიყვარულით შენი ბებო - ნათელა იაკობიძის შარვაძე

ჯუმაბარ უთრუთაშვილს!

ბატონო ჯუმაბარ, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, კვლავ ბევრი ლამაზი ლექსის დაბადებას, რომელიც თქვენი პოეზიის თავყანისმცემლებს გაგვახარებს.

კეთილი სურვილებით, თქვენი პოეზიის თავყანისმცემლები ნინო სენინაშვილი და ლამარა მინთაშვილი.

ახალი სპორტულ-გამაჯანსაღებელი დარბაზი გაიხსნა

2013 წლის 26 ნოემბერს ქ. დედოფლისწყაროში, კოსტავას ქუჩა №3-ში გაიხსნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრთან არსებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი დარბაზი, სადაც ყველანაირი პირობაა შექმნილი თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის. ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე სპორტული ინვენტარით-სარბენი ბილიკი (2), სხვადასხვა სახეობის 4 ველოსიპედი, შტანგა, რამდენიმე ნონისა და ფორმის განტელები, ასევე მრავალფუნქციური სავარჯიშო ტრენაჟორი, შვეული კიბე, მაგიდის ჩოგბურთი (4 ერთეული), იფუნქციონირებს კალათბურთისა და ჩოგბურთის სექციები.

სპორტულ-გამაჯანსაღებელ დარბაზში მომსახურება იქნება ფასიანი. გაიცემა ერთთვიანი აბონემენტები.

დარბაზი ფუნქციონირებას დაიწყებს 2014 წლის 1 იანვრიდან.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით კულტურისა და სპორტის ცენტრის ადმინისტრაციას.

მადლიერება

2013 წლის მაისის თვეში გაეხდი ავად-გამოვიძახებ სასწრაფო, რომელმაც მიმიყვანა დედოფლისწყაროს რაიონულ საავადმყოფოში, სადაც ნინო წელაურმა დამისვა დიაგნოზი „მოციმციმე არითმია“. საავადმყოფოში გაუარესდა ჩემი მდგომარეობა. გამოიძახეს თბილისიდან კატასტროფის მანქანა, რომლითაც მოვხვედი ავადმყოფს გ. ჩავიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში. ნინო წელაურის დიაგნოზი გამართლდა. რამდენიმე დღე ვინეჩი და შემდეგ გამომწერეს. თითქოს თავს კარგად ვგრძნობდი, მაგრამ კიდევ გაეხდი ავად. მიჩიქეს, მიმეშარა ნორის არქიმედეს კლინიკის კარდიოლოგ ციცი იაშვილისთვის. მისი მკურნალობის შემდეგ თავს კარგად ვგრძნობ.

მინდა ღრმა პატივისცემისა და მადლიერების გამო, ვუსურვო ციცი იაშვილს ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე ხალხის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით, ნანი ბალაშვილი. სოფელი ზემო მანჩხანი.

იყიდება

იყიდება სახლი ქალაქ დედოფლისწყაროში გზოთი და ყველა სათავსოთი. აქვს ბუნებრივი გაზი, დენი, წყალი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 577-66-45-38

ამინდი		დედოფლისწყარო				საბატი		კვირა			
ორშაბათი 02.12	სამშაბათი 03.12	ოთხშაბათი 04.12	ხუთშაბათი 05.12	პარასკევი 06.12	შაბათი 07.12	კვირა 08.12	დღე	ღამე	დღე	ღამე	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
4°	3°	6°	-1°	-2°	-4°	-1°	-3°	2°	1°	1°	0°
1°	0°	3°	2°								

გამომცემელი შპს „შირაპი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი	სარედაქციო კოლეგია: ლალი მხრინაშვილი, ილია მარტყოფლიანი (ყურანლისტები); ულა ხარაშვილი (სტილისტ-მწერელი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზიანა მანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).	რედაქციის მისამართი: ქ. ალაქ დედოფლისწყარო, ფორსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 551 25-17-44 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს აასუსს ავტოგრაფი.	გაზეთი აიწყო და დაკაბდონდა „შირაპის“ კომპიუტერულ პაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს. „სამშობლოს“ სტამბაში.		